გამოყენების პირობები

(„წესები“)

https://aetis.ge ვებსაიტი (**„საიტი“**), შპს „აიპი რეგისტრი“ (ს/ნ 404619659), იურიდიული პირის რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (**„AETIS“** ან **„ჩვენ“**) რეგისტრირებულ მომხმარებლებს (**„მომხმარებელი“** ან **„თქვენ“**) აძლევს შესაძლებლობას, ატვირთოს (ასევე, ჩამოტვირთოს) და დაარეგისტრიროს ნებისმიერი სახის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები („ობიექტები“) – საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტები, სასაქონლო ნიშნები, პატენტები და ა.შ. (**„IP ობიექტები“**) – საიტის ფუნქციების მეშვეობით, რომლებიც უკვე შემუშავებულია და დანერგილია საიტზე ან/და რომელიც შეიძლება მომავალში შემუშავდეს და დაინერგოს საიტზე (**„სერვისი“ ან "მომსახურება"**).

ზოგიერთი სერვისი მომხმარებელს მიეწოდება უფასოდ (მაგ. რეგისტრაცია, შექმნა და პერსონალურ ანგარიშზე წვდომა). თუმცა, ზოგიერთი სხვა სერვისი (მაგ., IP ობიექტების დეპონირება (რეგისტრაცია), მოწმობების გაცემა ან/და მიწოდება და ა.შ.) ხორციელდება ანაზღაურების საფუძველზე. იმავდროულად, მხოლოდ მომხმარებლები 18 წლიდან ან 18 წლამდე მომხმარებლების წარმომადგენლები – მშობლები ან მეურვეები/მზრუნველები (**„წარმომადგენლები“**), –რომლებიც საკუთარი ნების შესაბამისად ეთანხმებიან ამ წესებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, იძლევიან გარანტიას ამ პირობებით გათვალისწინებული დებულებების შესრულებაზე და ეკისრებათ პასუხისმგებლობა AETIS-ის წინაშე, აქვთ უფლება ისარგებლონ ფასიანი სერვისებით.

სერვისების გამოყენებამდე მომხმარებელმა (ან მისმა კანონიერმა წარმომადგე-ნელმა) უნდა წაიკითხოს წინამდებარე პირობები და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა სერვისების გამოყენების შესახებ.

ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, საიტის და (ან) სერვისების

გამოყენების გაგრძელებით, მომხმარებელი აღიარებს, რომ წაიკითხა ეს წესები და რომ ამ წესების დებულებები ვრცელდება და იურიდიულად სავალდებულოა მომხმარებლისთვის.

მომხმარებელი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ საიტი და სერვისები მოწოდებულია „ისე, როგორც არის“ და რომ AETIS არ არის პასუხისმგებელი საიტის უწყვეტ ფუნქციონირებაზე და სერვისებზე წვდომის შესაძლებლობაზე, საიტზე შენახული ინფორმაციის უსაფრთხოებაზე და სხვა გარემოებებზე, რომლებიც AETIS-ის კონტროლს მიღმაა.

1. ზოგადი პირობები

1.1. ეს წესები არის იურიდიულად სავალდებულო შეთანხმება მომხმარებელსა და AETIS-ს შორის (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებულნი, როგორც **„მხარეები“** და ცალკე მოხსენიებული, როგორც **„მხარე“**), რომლებიც განსაზღვრავენ საიტის გამოყენების პირობებს, ასევე მხარეთა უფლებებსა და მომსახურებით სარგებლობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებებს.

1.2. სერვისების გამოყენებით, მომხმარებელი ეთანხმება იმ წესებს, რომელიც, AETIS- ის კონფიდენციალურობის პოლიტიკასთან ერთად, საშუალებას აძლევს მომხმარებელს, რომ გამოიყენოს საიტი და იქონიოს წვდომა სერვისებზე. საიტის გამოყენების გაგრძელებით, მომხმარებელი ადასტურებს და გარანტიას იძლევა მასზედ, რომ იგი არის 18 (თვრამეტი) წლის ან მეტის და, საჭიროების შემთხვევაში, მას აქვს მიღებული თავისი კანონიერი წარმომადგენლების თანხმობა საიტზე დასარეგისტრირებლად და მისი პერსონალური მონაცემების მოსაწოდებლად.

1.3. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი სერვისები (მაგ., IP ელემენტების განთავსება (რეგისტრაცია), სარეგისტრაციო სერთიფიკატების გაცემა და ა.შ.) უზრუნველყოფილ იქნება ანაზღაურების საფუძველზე. თუ, რომელიმე სერვისით სარგებლობა ხელმისაწვდომია ფასიანი გამოწერის საფუძველზე, მომხმარებელი უნდა იყოს მინიმუმ 18 (თვრამეტი) წლის. ამ შემთხვევაში, მომხმარებელი ერთპიროვნულად

პასუხისმგებელია გადახდის ვალდებულებების დროულად შესრულებაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც სერვისები ხელმისაწვდომია ფასიანი გამოწერით, მომხმარებელს ეცნობება გადახდის პირობების თაობაზე და მიეცემა უფლება უარი თქვას გადახდაზე წინასწარ. **თუმცაღა, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი ფასიანი სერვისის გადახდაზე უარის თქმამ, შესაძლოა, გამოიწვიოს შესაბამისი სერვისების გამოყენების შეუძლებლობა.** თუ, მომხმარებელს არ მიუღწევია 18 წლის ასაკისთვის, მის კანონიერ წარმომადგენელი ეკისრება ამ წესებში ასახული ვალდებულებები და მან უნდა გასცეს გარანტია წესებით დადგენილი პირობების შესრულების ვალდებულებაზე და მას ეკისრება პასუხისმგებლობა AETIS-ის წინაშე, ისე თითქოს ის დასთანხმდა ამ წესების პირობებს, AETIS-ი იტოვებს უფლებას (მაგრამ არა ვალდებულებას), თავისი შეხედულებისამებრ, შეამოწმოს კანონიერი წარმომადგენლისგან მიღებული ასეთი თანხმობის არსებობა.

2. სერვისებზე (მომსახურებზე) წვდომის მინიჭება

2.1. საიტის გამოსაყენებლად და სერვისებზე წვდომისთვის, მომხმარებელმა უნდა შექმნას მომხმარებლის პირადი ანგარიში (აქამდე და შემდგომშიც მოხსენიებული, როგორც **„პირადი ანგარიში“**) საიტზე. პერსონალური ანგარიში მომხმარებელს აძლევს წვდომას სერვისებზე, რომელთა განახლება და შენარჩუნებაც შესაძლებელია, ჩვენი შეხედულებისამებრ, არარეგულარულად.

2.2. საიტზე რეგისტრაცია წარმატებით დასრულებულად ჩაითვლება და პერსონალური ანგარიში ჩაითვლება შექმნილად, ხოლო პირად ანგარიშზე წვდომა ჩაითვლება მომხმარებლისთვის მიწოდებულად, თუ მომხმარებელი:

2.2.1. შეავსებს საიტის სარეგისტრაციო გვერდზე შესაბამის ველებს თავისი სახელის, ელექტრონული ფოსტის მისამართის მიწოდებით და თუ მომხმარებელი გადაწყვეტს შექმნას თავისი პაროლი (AETIS მიერ ავტომატურად გენერირებული პაროლის მიღების სანაცვლოდ); და

2.2.2. დაადასტურებს მის ელ.წერილს მომხმარებლის მიერ მითითებულ ელ.ფოსტის მისამართზე გაგზავნილ შესაბამის ბმულზე დაკლიკებით და საიტის რეგისტრაციის გვერდზე შესაბამისი ველების შევსებით.

2.3. მომხმარებლის მიერ მოწოდებული ის სარეგისტრაციო ინფორმაცია, რომელიც ასახულია ამ წესების 2.2.1 ქვეპუნქტში უნდა იყოს ჭეშმარიტი, ზუსტი, სრული და აქტუალური. ჩვენ ასევე შეიძლება მოვითხოვოთ სხვა დამატებითი ინფორმაცია. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს მოცემული წესების დარღვევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სერვისზე მომხმარებლისთვის წვდომის დაუყოვნებლივი შეწყვეტა.

2.4. მომხმარებელი პასუხისმგებელია მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვაზე, რომელიც უზრუნველყოფს წვდომას მის პირად ანგარიშზე და ყველა ქმედებაზე, რომელიც შესრულებულია ანგარიშში შესვლისას. მომხმარებელი თანახმაა, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც განხორციელდა მათი ანგარიშის გამოყენებით, ჩაითვლება პირადად მის მიერ განხორციელებულად. მომხმარებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს AETIS-ს თავისი ანგარიშის ნებისმიერი არაავტორიზებული გამოყენების ან უსაფრთხოების სხვა დარღვევის შესახებ.

3. საიტის გამოყენების პირობები

3.1. ჩვენ უფლებას ვაძლევთ მომხმარებელს გამოიყენოს საიტი და სერვისები ამ წესების შესაბამისად, რომელთა მიღებითაც მომხმარებელი ეთანხმება ყველა იურიდიულ დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს მის საქმიანობას, და წარმოადგენსამ წესების განუყოფელ ნაწილს (მაგ., გამოწერის პირობები, შიდა პოლიტიკა) და ხელმისაწვდომია საიტზე, ასევე აღიარებს მათ შესრულების ვალდებულებას.

3.2. საიტის მეშვეობით AETIS-ი მომხმარებელს სთავაზობს შემდეგ სერვისებს:

3.2.1. პირად ანგარიშზე რეგისტრაციას და წვდომას;

3.2.2. IP ობიექტების (საავტორო უფლებების, მომიჯნავე უფლებების, სასაქონლო ნიშნების, პატენტების და ა.შ.) განთავსებას (რეგისტრაცია);

3.2.3. სადეპოზიტო სერთიფიკატების გაცემას.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. ამ წესების 3.2.2 ქვეპუნქტებში ასახული სერვისები. – 3.2.3. გათვალისწინებულია ფასიანი გამოწერის/გადახდის საფუძველზე.

4.2. მომხმარებელი პასუხისმგებელია ნებისმიერ გადახდაზე, რომელიც დაკავშირებულია სერვისების გამოყენებასთან. ჩვენ წინასწარ ვაცნობებთ მომხმარებელს ფასში ცვლილების შესახებ. ჩვენი ფასები და გადახდის პირობები ხელმისაწვდომია ბმულზე: https://aetis.ge/-ზე.

4.3. მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს ტარიფი/საფასური, ისე როგორც ეს გათვალისწინებულია ამ წესების 4.2. პუნქტში და გადაიხადოს გამოწერის/გადახდის ტარიფი სერვისებით სარგებლობისთვის. მომხმარებლის ანგარიშსწორების დეტალები შეინახება პირად ანგარიშზე პირველივე გადახდის შემდეგ. მომხმარებლის გადახდის დეტალები გამოყენებული იქნება ავტომატურად (თანხმობის მიღების გარეშე) სერვისის ღირებულების გადახდისთვის, როდესაც შესაბამისი გადახდა დაერიცხება არჩეული გამოწერის მიხედვით. მომხმარებელს შეუძლია შეცვალოს და (ან) დაამატოს გადახდის დეტალები პირად ანგარიშზე, რათა გადაიხადოს გამოწერის/სააბონენტო ტარიფის შესაბამისად.

4.4. ბილინგის პროცედურა**:**

4.4.1. სააბონენტო (გამოწერის) გადახდა ეფუძნება ინდივიდუალურ სერვისის საფასურს, ყოველთვიურ ან წლიურ სატარიფო გეგმებს, რომლის მიხედვითაც სერვისები გადასახდელი იქნება წინასწარ გადახდის საფუძველზე, შესაბამისად, მომსახურებით სარგებლობისთვის გადახდილი თანხა ერთჯერადად ან თვის ან წლის დასაწყისამდე და არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

4.4.2. მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს შეცვალოს გამოწერის პირობები პირადი ანგარიშის მეშვეობით. თუმცა, შესაბამის სერვისზე წინასწარ არჩეული და წინასწარ გადახდილი გამოწერის გაუქმებით წინასწარ გადახდილი გამოწერის პერიოდის

დასრულებამდე, მომხმარებელი აღიარებს და ეთანხმება იმას, რომ ჩვენ მოვახდენთ მისთვის თანხის უკან დაბრუნებას და (ან)გამოუყენებელი წინასწარი

სააბონენტო პერიოდის დაკრედიტებას. ამავდროულად, სერვისი ხელმისაწვდომი დარჩება ფასიანი გამოწერის მთელი პერიოდის განმავლობაში.

4.4.3. გადახდა დამოკიდებულია სერვისის გამოყენების მოცულობაზე. ზოგიერთი ფუნქციის გადახდა ხდება სერვისების ფაქტობრივი გამოყენების საფუძველზე. ამ ფუნქციების შეზღუდული რაოდენობა შეიძლება შეიტანილ იქნას მონაცემთა გეგმაში კონკრეტული პერიოდისთვის დამატებითი საფასურის გარეშე. თუ მომხმარებელი გადაწყვეტს ფასიანი სერვისის შეძენას სატარიფო გეგმაში გათვალისწინებული თანხით, ის გადაიხდის ამ სერვისს საჭირო ოდენობით, მომდევნო სააბონენტო პერიოდის დაწყებამდე. სერვისით სარგებლობისას თანხები ჩამოიჭრება ადრე გადარიცხული საავანსო თანხიდან.

4.4.4. მომხმარებელი იღებს ვალდებულებას, გადაიხადოს ინვოისში მითითებული თანხა სრულად, წინასწარ, ყოველგვარი გამოქვითვის გარეშე, ლარში, ისე როგორც ეს მოცემულია ამ წესების 4.2 პუნქტში. თუ მომხმარებელი დროულად არ გადაიხდის ინვოისს, AETIS-ს ექნება უფლება შეზღუდოს და (ან) შეწყვიტოს სერვისებზე წვდომა. თუ მომხმარებელი დროულად არ გადაიხდის ინვოისს, AETIS-ს ექნება უფლება შეზღუდოს და (ან) შეწყვიტოს სერვისებზე წვდომა.

4.4.5. აშშ დოლარში გადასახდელი ყველა თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს შესაბამის ინვოისში მითითებულ საბანკო დეტალებზე დაყრდნობით.

4.4.6. გადასახდელი თანხები მოიცავს მოქმედ გადასახადებს. სერვისის გამოყენებით, მომხმარებელი თანახმაა გადაიხადოს AETIS-ს მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც გაწეულია AETIS-ის მიერ მომხმარებლის მიერ სერვისის გამოყენებასთან დაკავშირებით. თუ გსურთ დავა გარკვეულ საკითხზე, გთხოვთ, დაუკავშირდეთ AETIS-ის მხარდაჭერის სამსახურს. მომხმარებელი პასუხისმგებელია AETIS-ისთვის ბილინგის მოქმედი ინფორმაციის მიწოდებაზე.

4.4.7. ინვოისი გადახდილად ჩაითვლება, თუ თანხები გადაირიცხა AETIS-ის საბანკო ანგარიშზე არჩეული გამოწერის პირობების შესაბამისად.

5. მომხმარებლის უფლებები და ვალდებულებები

5.1. მომხმარებელს უფლება აქვს**:**

5.1.1. გამოიყენოს საიტი და სრული წვდომა იქონიოს სერვისებზე ამ წესების შესაბამისად;

5.1.2. აცნობოს AETIS-ს საიტის საეჭვო ბოროტად გამოყენების ან ამ წესების დარღვევის შესახებ შემდეგი ელ. ფოსტაზე: support@aetis.ge;

5.1.3. მიიღოს და გააუქმოს სარეკლამო გზავნილები, რომლებიც მიზნად ისახავს მომხმარებლის ინფორმირებას სერვისების, აქციების და ა.შ. წერილის გაგზავნით შემდეგ ელ. ფოსტაზე: support@aetis.ge;

5.1.4. განახორციელოს სხვა ქმედებები, რომლებიც აღწერილია ამ წესებში და (ან) ნებისმიერ სხვა იურიდიულად სავალდებულო ინსტრუმენტში/დოკუმენტში, რომელიც ხელმისაწვდომია საიტზე (მაგ., გამოწერის პირობები, შიდა პოლიტიკა და ა.შ.).

5.2. მომხმარებელი ვალდებულია:

5.2.1. არ დაარღვიოს მესამე მხარის უფლებები, მათ შორის უფლება ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე;

5.2.2. მიაწოდოს სრული, ნამდვილი და განახლებული ინფორმაცია მის შესახებ, ინტელექტუალური აქტივობის შედეგების შესახებ და დაუყოვნებლივ აცნობოს AETIS-ს ასეთ ინფორმაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

5.2.3. არ გამოიყენოს სერვისები უკანონო და (ან) ამ წესებით აკრძალული მიზნებისთვის და (ან) სხვა მიზნებისთვის, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ წესების საფუძველზე.

ამ წესების მიღებით, მომხმარებელი თანახმაა არ გამოიყენოს საიტი და (ან) სერვისები, კერძოდ, (საიტის და (ან) სერვისების გამოყენება ჩაითვლება უკანონოდ და (ან) აკრძალულად თუ განხორციელდება:

5.2.3.1. იმ ინფორმაციის ატვირთვა (ჩამოტვირთვა) და (ან) შინაარსის განთავსება, რომელიც არ გეკუთვნით თქვენ;

5.2.3.2. იმ კონტენტის ატვირთვა (ჩამოტვირთვა) და (ან) განთავსება, რომელიც არღვევს მესამე მხარის ექსკლუზიურ უფლებებს;

5.2.3.3. სერვისების, სერვერების და (ან) ქსელებთან დაკავშირებული სერვისების შეფერხება; ასევე სერვისებთან დაკავშირებული ქსელების მოთხოვნების, პროცედურების, პოლიტიკის და (ან) წესების დარღვევა;

5.2.3.4. ნებაყოფლობით თუ უნებლიეთ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა;

5.2.3.5. სერვისები სრეპროდუცირება, დუბლირება, კოპირება, გაყიდვა, გადაყიდვა, ვაჭრობა და (ან) სერვისების კომერციული გამოყენება ნაწილობრივ ან მთლიანად.

5.2.4. გარდა AETIS-ის მიერ მოწოდებული ინტერფეისების საშუალებისა, სერვისებზე არ განახორციელოს სხვა გზით წვდომა. მხოლოდ მომხმარებელია პასუხისმგებელი, სხვა მომხმარებლებთან საკუთარ ურთიერთობაზე/ინტერაქციაზე.

5.2.5. არ მიანიჭოს/არ გადასცეს უფლებები მესამე პირებს, მთლიანად ან ნაწილობრივ, AETIS-ის წინასწარი თანხმობის გარეშე.

5.2.6. გონივრული სიხშირით, გაეცნოს ამ წესებს, ასევე იურიდიულად ყველა სავალდებულო დოკუმენტს, რომელიც ხელმისაწვდომია საიტზე (მაგ., გამოწერის პირობები, შიდა პოლიტიკა და ა.შ.).

5.3. თქვენ აღიარებთ და ეთანხმებით, რომ თქვენ - და არა AETIS! – ხართ პასუხისმგებელი ყველა იმ შინაარსზე, რომელსაც თქვენ ატვირთავთ (ჩამოტვირთავთ) ან სხვაგვარად გადასცემთ საიტს. AETIS არ აკონტროლებს მომხმარებლის მიერ მოწოდებულ კონტენტს (შინაარსს), რადგან ის არ იძლევა გარანტიას ასეთი შინაარსის სიზუსტეზე, მთლიანობასა და ხარისხზე.

6. ინტელექტუალური საკუთრება

6.1. ჩვენი პარტნიორები და ჩვენ, ვიტოვებთ ყველა ექსკლუზიურ უფლებას ჩვენი პარტნიორების ან ჩვენს მიერ შექმნილ ნებისმიერი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთან მიმართებაში, რაც გამოიყენება საიტზე. ჩვენი პარტნიორები და ჩვენ, ვიტოვებთ ყველა უფლებას, რომელიც პირდაპირ არ გენიჭებათ ამ წესებისა და (ან) მოქმედი კანონის შესაბამისად.

6.2. საიტის ვიზუალური დიზაინი, სასაქონლო ნიშნები, ლოგოები და AETIS-ის ნებისმიერი სხვა ინტელექტუალური საკუთრების ელემენტი დაცულია ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობით. თქვენ არ გაქვთ უფლება მოახდინოთ დუბლირება, დააკოპიროთ და (ან) ხელახლა გამოიყენოთ, მთლიანად ან ნაწილობრივ, AETIS-ის ნებისმიერი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი, AETIS-ის წერილობითი ნებართვის გარეშე.

7. პირადი ინფორმაცია (კონფიდენციალურობა)

7.1. ჩვენ ვაღიარებთ, რომ კონფიდენციალურობის უფლება თითოეული ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა და გვესმის, თქვენი პერსონალური მონაცემების მნიშვნელობა თქვენთვის. ამიტომ, ძალიან სერიოზულად ვეკიდებით კონფიდენციალურობას და თქვენი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებასა და დაცვას, რადგან ვაფასებთ თქვენს ჩვენდამი ნდობას, თქვენ მიერ პირადი მონაცემების ჩვენთან გაზიარებით.

ვცდილობთ, ვიყოთ მაქსიმალურად ღია და გამჭვირვალე ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდებისა და ტექნოლოგიების მიმართ, თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვების, შენახვის, დამუშავებისა (გამოყენების) და დაცვის დროს. ამ მიზნით, ჩვენ შევიმუშავეთ კონფიდენციალურობის პოლიტიკა, რომლის დებულებებიც ყოველთვის ხელმისაწვდომია განსახილველად, შემდეგ ბმულზე: https://aetis.ge/docs/aetis-ge/privacy_policy_ge.pdf

7.2. ჩვენ გაძლევთ გარანტიას, რომ ვაგროვებთ, ვინახავთ, ვამუშავებთ (გამოვიყენებთ) და ვიცავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ კონფიდენციალურობის

პოლიტიკის დებულებების შესაბამისად.

7.3. თქვენ გვაძლევთ გარანტიას, კეთილსინდისიერად და დროულად (ანუ ჩვენი საიტისა და სერვისების გამოყენებამდე), გაეცნოთ ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკის დებულებებს.

7.4. თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვების, შენახვის და დამუშავების დროს (გამოყენებისას), ჩვენ ვხელმძღვანელობთ, პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების ისეთი ფუნდამენტური პრინციპებით, როგორიცაა დამუშავების კანონიერების პრინციპი და მონაცემთა მინიმიზაცია.

დამუშავების კანონიერების პრინციპი არის ის, რომ ნებისმიერ დროს, როდესაც ჩვენ ვამუშავებთ (გამოვიყენებთ) თქვენს პერსონალურ მონაცემებს, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ გვაქვს მინიმუმ ერთი სამართლებრივი საფუძველი მაინც ასეთი დამუშავებისთვის. თქვენი აშკარა თანხმობა, ნამდვილად, არის ასეთი ძირითადი საფუძველი. თუმცა, არსებობს სხვა საფუძვლებიც, რომელთა გათვალისწინებითაც თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება (გამოყენება) კანონიერად ჩაითვლება.

მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპი გახლავთს ის, რომ ჩვენ არ ვაგროვებთ, არ ვინახავთ და არ ვამუშავებთ (არ ვიყენებთ) თქვენს პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც არ გვჭირდება ჩვენს კონფიდენციალურობის პოლიტიკაში მითითებული მიზნების მისაღწევად.

7.5. წინამდებარე წესების ამ პუნქტში, ჩვენ გაწვდით ძირითად შემთხვევებს, როდესაც თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება (გამოყენება) კანონიერად იქნება აღიარებული, მაშინაც კი, თუ არ იარსებებს ამაზე თქვენი აშკარა თანხმობა.

7.5.1. როდესაც თქვენ უბრალოდ ეწვევით ჩვენს საიტს, თქვენ ამით უკვე გვაწვდით თქვენს პერსონალურ მონაცემებს ცალკეული "ქუქი" ფაილების სახით, რომლის გარეშეც, მაგალითად, ჩვენს საიტზე წვდომა ტექნიკურად შეუძლებელი იქნებოდა თქვენთვის, მთელი ინტერნეტ ქსელის ფუნქციონირების სპეციფიკის გამო.(ასეთ „ქუქის“ ფაილებს უწოდებენ სავალდებულოს და ტექნიკურად შეუძლებელია მათი

მომხმარებლისთვის გამორთვა ბრაუზერში მოცემული პარამეტრების მეშვეობით).

რაც შეეხება სხვა "ქუქი" ფაილებს (რომლებიც ტექნიკურად სავალდებულო არ არის), ჩვენ გარანტიას გაძლევთ, რომ მათი შეგროვება, შენახვა და დამუშავება (გამოყენება) განხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ გვექნება თქვენი აშკარა თანხმობა ან სხვა სამართლებრივი საფუძველი, რომელიც მოგვცემს მათი დამუშავების საშუალებას და ისიც, მხოლოდ ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკის დებულებების შესაბამისად.

7.5.2. როდესაც თქვენ რეგისტრირდებით ჩვენს საიტზე და (ან) იყენებთ მას, თქვენ გვაწვდით ძირითადად თქვენს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, როგორიცაა თქვენი სახელი, ელექტრონული ფოსტის მისამართი (ელ. ფოსტა) და (ან) პაროლი თქვენს პირად ანგარიშში შესვლისთვის. ჩვენ ვიყენებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს შემდეგი მიზნებისთვის:

7.5.2.1. თქვენი პირადი ანგარიშის ჩვენს საიტზე შესაქმნელად;

7.5.2.2. ავთენტიფიკაციისა და (ან) თქვენი იდენტიფიცირებისთვის, თქვენს პირად ანგარიშში შესვლისას;

7.5.2.3. საშუალებას გაძლევთ გამოიყენოთ სერვისები, რომლებიც ხელმისაწვდომია მხოლოდ დარეგისტრირებული მომხმარებლებისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენს საიტზე დარეგისტრირებით და (ან) მისი გამოყენებით, თქვენ აცნობიერებთ იმ ფაქტს, რომ გვაწვდით თქვენს სახელს, ელ. ფოსტის მისამართს (ელ. ფოსტა) და (ან) პაროლს თქვენს პირად ანგარიშში შესვლისთვის, ასევე აღიარებთ და ადასტურებთ ჩვენთვის ამ სახის პერსონალური მონაცემების დამუშავების (გამოყენების) კანონიერებას (მათ შორის, თქვენი თანხმობის გარეშე) მათი დამუშავების ისეთ სამართლებრივ საფუძველზე, როგორიცაა ჩვენ მიერ საკუთარი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება, ამ წესების გათვალისწინებით, რომ მოგცეთ შესაძლებლობა დარეგისტრირდეთ ჩვენს საიტზე (შექმნათ პირადი ანგარიში), შეიყვანოთ თქვენი პირადი ანგარიში და მოგცეთ შესაძლებლობა გამოიყენოთ

სერვისები, რომლებიც ხელმისაწვდომია ექსკლუზიურად დარეგისტრირებული მომხმარებლებისთვის.

თუ დაგვჭირდება თქვენი სახელის და (ან) ელ. ფოსტის მისამართის (ელ. ფოსტა) და (ან) პაროლის გამოყენება თქვენს პერსონალურ ანგარიშში შესასვლელად სხვა მიზნებისთვის, რომლებიც არ არის დაკავშირებული ზემოაღნიშნულთან, ჩვენ გარანტიას გაძლევთ, რომ ასეთი დამუშავება (გამოიყენება) განხორციელდება, მხოლოდ თქვენი გამოხატული თანხმობის საფუძველზე ან თუ ჩვენ გვექნება სხვა სამართლებრივი საფუძველი, რომელიც უზრუნველყოფს მათი დამუშავების შესაძლებლობას და ისიც, მხოლოდ ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკის დებულებების შესაბამისად.

7.5.3. როდესაც თქვენ იყენებთ სერვისებს, ძირითადად გვაწვდით თქვენს ისეთ პირად მონაცემებს, როგორიცაა გვარი, სახელი და (ან) ფსევდონიმი, და (ან) დაბადების თარიღი და (ან) პირადობის მოწმობის ნომერი, პერსონალური პირადობის ნომერი, უფლებამოსილება, გაცემის თარიღი, მოქმედების ვადა და (ან) ბიზნეს ID ნომერი, მისამართი, საბანკო დეტალები (ბანკის სახელი, ანგარიში, IBAN, SWIFT ან ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა) და (ან) განთავსებული ობიექტები და მათზე ინფორმაცია (სახელი, აღწერა და ა.შ. .). ჩვენ ვიყენებთ ასეთ პერსონალურ მონაცემებს შემდეგისთვის:

7.5.3.1. საშუალებას გაძლევთ სრულად გამოიყენოთ სერვისები;

7.5.3.2. საშუალებას მოგცემთ თვალყური ადევნოთ თქვენ მიერ, თქვენს პირად ანგარიშში დეპონირებულ IP ელემენტების სიას და აკონტროლოთ ასეთ ელემენტებზე მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისობა;

7.5.3.3. სადეპოზიტო სერთიფიკატების გასაცემად.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სერვისების გამოყენებით, თქვენ აცნობიერებთ იმ ფაქტს, რომ გვაწვდით თქვენს გვარს, სახელს და (ან) თქვენს ფსევდონიმს, და (ან) დაბადების თარიღს და (ან) ტელეფონის ნომერს და (ან) პირადობის მოწმობის

ნომერი, პირად ID ნომერს, უფლებამოსილებს, გაცემის თარიღს, მოქმედების ვადას და (ან) ბიზნეს ID ნომერს, მისამართს, ბანკის დეტალებს (ბანკის სახელი, ანგარიში, IBAN, SWIFT ან ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა) და (ან) დეპონირებული ნივთები და მათ შესახებ ინფორმაცია (სახელი, აღწერა და ა.შ.), აგრეთვე აღიარებთ და გვიდასტურებთ ამ სახით თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების (გამოყენების) კანონიერებას (მათ შორის, თქვენი თანხმობის გარეშე) ასეთი პირობის საფუძველზე, ასეთი სამართლებრივი საფუძვლებით მათი დამუშავებისთვის, რაც მიიჩნევა ჩვენ მიერ ამ წესებით გათვალისწინებული, ჩვენი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებლად, რათა მოგეცეთ სერვისებით სრულად სარგებლობის საშუალება.

იმ შემთხვევაში, თუ დაგვჭირდება თქვენი სახელის და გვარის გამოყენება, და (ან) თქვენი ფსევდონიმის, და (ან) დაბადების თარიღის, და (ან) ტელეფონის ნომერის, და (ან) პირადობის ნომერის, პირადი პირადობის ნომერის, უფლებამოსილების, გამოშვება თარიღის, მოქმედების ვადის და (ან) ბიზნეს ID ნომერის, მისამართის, ბანკის დეტალების (ბანკის სახელი, ანგარიში, IBAN, SWIFT ან ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა) და (ან) განთავსებული ობიოექტების და მათზე ინფორმაციის (სახელი, აღწერა და ა.შ.).) სხვა მიზნებისთვის, რომლებიც არ არის დაკავშირებული ზემოხსენებულ მიზნებთან, ჩვენ გარანტიას გაძლევთ, რომ ასეთი სახის დამუშავება (გამოყენება) განხორციელდება მხოლოდ თქვენი აშკარა თანხმობის საფუძველზე ან სხვა სამართლებრივი საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს მათი დამუშავების შესაძლებლობას და მხოლოდ ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკის დებულებების შესაბამისად.

7.6. თუ ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკის განხილვის შემდეგ, აღმოჩნდება, რომ:

7.6.1. თქვენ არასწორად გაიგეთ მისი დებულებები - შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ თქვენთვის მოსახერხებელი ნებისმიერი გზით:

მონაცემთა დაცვის ოფიცრის კონტაქტები	
საფოსტო მისამართი:	თბილისი, კოსტავას #68
ელექტრონული ფოსტის მისამართი:	support@aetis.ge
ტელეფონის ნომერი:	032 240 93 40

7.6.2. თუ თქვენ, ნაწილობრივ ან მთლიანად, არ ეთანხმებით ჩვენს კონფიდენციალურობის პოლიტიკას, ასევე არ გსურთ თქვენი პერსონალური მონაცემების მოწოდება, რისთვისაც არა მხოლოდ გამოხატავთ უარს თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, არამედ ასევე არ გსურთ თქვენი ნებისმიერი პერსონალური მონაცემის, ჩვენ მიერ დამუშავება იმ საფუძვლით, რომელიც არ საჭიროებს თქვენს თანხმობას – თქვენ უნდა დატოვოთ ჩვენი საიტი მასზე რაიმე ქმედებების განხორციელების გარეშე (მათ შორის საიტზე რეგისტრაციის , სერვისების გამოყენების ქმედებები და ა.შ.).

7.6.3. თუ ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკის წაკითხვის შემდეგ, თქვენ განაგრძობთ ჩვენი საიტის და (ან) სერვისების გამოყენებას კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით, ჩვენ გვექნება უფლება განვიხილოთ თქვენი ასეთი ქმედებები (და თქვენი მხრიდან, ნებისმიერი სხვა ქმედების არარსებობის შემთხვევაში, რაც საპირისპიროზე მიუთითებს), როგორც თქვენი მხრიდან დადასტურება იმისა, რომ:

7.6.3.1. თქვენ კეთილსინდისიერად და დროულად (ანუ ჩვენი საიტისა და სერვისების გამოყენებამდე) გაეცანით ჩვენს კონფიდენციალურობის პოლიტიკას; და

7.6.3.2. ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკის ყველა დებულება თქვენთვის

გასაგებია და არ არის სადავო მთლიანად ან ნაწილობრივ; და

7.6.3.3. თქვენ აცნობიერებთ, რომ ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკის ყველა დებულება იურიდიულად სავალდებულოა თქვენთვის.

7.6.4. ჩვენი საიტის მონახულებით და ამ წესების მიღებით, თქვენ გესმით, აღიარებთ და ადასტურებთ, რომ წაიკითხეთ პერსონალური მონაცემების (კონფიდენციალურობის) დებულებები, რომლებიც მოცემულია ამ განყოფილებაში, და შემუშავებულია ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკის ფარგლებში და მოიცავს ყველა პერსონალურ მონაცემს, რომელსაც თქვენ გვაწვდით ამ წესების დადებისა და შესრულების მიზნებისათვის.

8. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

8.1. AETIS-ი არ იძლევა გარანტიას მასზედ, რომ:

8.1.1. საიტი და (ან) სერვისები დააკმაყოფილებს თქვენს მოლოდინებს ან მოთხოვნებს;

8.1.2. სერვისები იქნება უწყვეტი, დროული, უსაფრთხო ან უშეცდომო;

8.1.3. სერვისების მეშვეობით მოწოდებული ინფორმაცია იქნება ზუსტი, სანდო ან სწორი;

8.1.4. ნებისმიერი ხარვეზი ან შეცდომა გამოსწორდება;

8.1.5. სერვისები ხელმისაწვდომი მოხდება ნებისმიერ დროს ან ნებისმიერ ადგილას;

8.1.6. საიტი და (ან) სერვისები არ შეიცავს ვირუსებს ან სხვა მავნე კომპონენტებს.

თქვენ იღებთ სრულ პასუხისმგებლობას და ზარალის რისკს სერვისების საშუალებით მოპოვებული ფაილების, ინფორმაციის, შინაარსის ან სხვა მასალების ჩამოტვირთვის და (ან) გამოყენების გამო.

8.2. თქვენ გესმით და ეთანხმებით, რომ ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი თქვენი ან რომელიმე მესამე მხარის წინაშე დაკარგული/მიუღებელი მოგების, სერვისების გამოყენებასთან

დაკავშირებული ზიანისთვის, საქმიანი რეპუტაციის ან მონაცემების შელახვისთვის, აგრეთვე ნებისმიერი სხვა არაპირდაპირი ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია :

8.2.1 თქვენს მიერ განთავსებული კონტენტის გამოყენების, გამჟღავნების ან ჩვენების გამო;

8.2.2. თქვენს მიერ სერვისით სარგებლობის ან სარგებლობის შეუძლებლობის გამო;

8.2.3. ნებისმიერი ცვლილების გამო, მათ შორის სატარიფო გეგმების ღირებულებაში, სერვისების მიწოდების შეჩერებისა ან შეწყვეტისთვის;

8.2.4. თქვენი მონაცემების არასანქცირებული წვდომის ან შეცვლის გამო;

8.2.5. საიტზე ან სერვისებზე, ნებისმიერი მესამე მხარის განცხადებების ან ქცევის გამო;

8.2.6. სხვა მომხმარებლებთან ნებისმიერი სხვა ურთიერთქმედების გამო ;

8.2.7. საიტთან ან სერვისებთან დაკავშირებით, ნებისმიერი სხვა შეკითხვის გამო.

8.3. ჩვენი პასუხისმგებლობა შეზღუდულია იმისდა მიუხედავად, იყავით თუ არა ინფორმირებული ამ წესების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ. ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი რაიმე წარუმატებლობაზე ან დაგვიანებაზე იმ მიზეზების გამო, რომელიც ჩვენს გონივრულ კონტროლს მიღმაა.

8.4. თუ თქვენ გაქვთ უთანხმოება ერთ ან მეტ მომხმარებელთან, თქვენ თანახმა ხართ, გაათავისუფლოთ AETIS-ი ნებისმიერი სახის და ბუნების, ცნობილი და უცნობი პრეტენზიებისაგან, პრეტენზიებისა და ზიანისგან (ფაქტობრივი და არაპირდაპირი), რომლებიც წარმოიქმნება ან რაიმე ფორმით უკავშირდება ამ დავებს. თქვენ თანახმა ხართ მოგვაცილოთ პასუხისმგებლობა, დაგვიცვათ და აგვარიდოთ ნებისმიერი პრეტენზიები, ვალდებულებები და ხარჯები, მათ შორის ადვოკატის გადასახადები, რომლებიც წარმოიქმნება თქვენს მიერ საიტისა და სერვისის გამოყენებით, მათ შორის, ამ წესების დარღვევის გამო, იმ პირობით, რომ AETIS-ი:

8.4.1. დაუყოვნებლივ გამოგიგზავნით წერილობით შეტყობინებას საჩივრის,

მოთხოვნის, მოქმედების ან სამართლებრივი წარმოების შესახებ,

8.4.2. გაძლევთ ერთპიროვნულ კონტროლს სარჩელის ან სასამართლო დავის დაცვასა და გადაწყვეტაზე (იმ პირობით, რომ თქვენ ვერ მოაგვარებთ რაიმე პრეტენზიას ან სასამართლო დავას, თუ მორიგება უპირობოდ არ ათავისუფლებს AETIS-ს ყველა ვალდებულებისგან),

8.4.3. გაწვდით ყველა გონივრულ დახმარებას თქვენივე ხარჯებით.

9. მოქმედი სამართალი (გამოყენებული კანონმდებლობა)

9.1. ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც წარმოიქმნება საიტის ან სერვისის გამოყენებასთან და ამ წესების გამოყენებასთან დაკავშირებით, უნდა მოგვარდესპირველ რიგში, მოლაპარაკებების გზით.

9.2. ეს წესები, ყველა ჩვენი იურიდიულად მნიშვნელოვანი შენიშვნა და ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ჩვენი სერვისის/საიტის გამოყენებისას, რეგულირდება და განიხილება საქართველოს კანონმდებლობით; AETIS-ი და თქვენ ეთანხმებით საქართველოს სასამართლოების ექსკლუზიურ იურისდიქციას.

10. სხვადასხვა დებულებები

10.1. ჩვენ გვაქვს უფლება გამოგიგზავნოთ ტექნიკური, სარეკლამო და სხვა სახის ინფორმაცია. რაც შეეხება სარეკლამო წერილებს, თქვენ გაქვთ უფლება, გააუქმოთ მათი მიღება ნებისმიერ დროს და შეგვატყობინოთ ამის შესახებ შემდეგი ელექტრონული ფოსტით: support@aetis.ge;

10.2. AETIS-ი იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, შეცვალოს ეს წესები ნებისმიერ დროს. თუ ცვლილებები წარმოადგენს მნიშვნელოვან ცვლილებას, AETIS-ი ამის შესახებ შეგატყობინებთ საიტზე განცხადების განთავსებით ან გამოგიგზავნით შეტყობინებას საიტზე რეგისტრაციის დროს მითითებულ ელ. ფოსტის მისამართზე. ის, თუ რა წარმოადგენს არსებით ცვლილებას, გადაწყდება ჩვენი შეხედულებისამებრ. თქვენ ხართ პასუხისმგებელი ნებისმიერი ასეთი ცვლილების განხილვაზე. ნებისმიერი

სერვისის გამოყენებით, თქვენ ეთანხმებით შეცვლილ წესებს. სერვისების გარკვეული ფუნქციების გამოყენებისას, თქვენ დაექვემდებარებით გამოქვეყნებულ ინსტრუქციებს ან წესებს, რომლებიც გამოიყენება ამ სერვისებისთვის.

10.3. თქვენი წვდომა საიტსა და ჩვენს სერვისებზე და მათი გამოყენება შეიძლება დროდადრო შეფერხდეს აღჭურვილობის გაუმართაობის, საიტის განახლების, მოვლის ან შეკეთების გამო, ან AETIS-ის კონტროლის ქვეშ მყოფი ან კონტროლს მიღმა არსებული სხვა მიზეზების გამო. AETIS-ი იტოვებს უფლებას შეაჩეროს ან შეწყვიტოს საიტზე და (ან) ნებისმიერ სერვისზე ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს თავისი შეხედულებისამებრ, წინასწარი შეტყობინების გარეშე. AETIS-მა ასევე შეიძლება დააწესოს შეზღუდვები გარკვეულ ფუნქციებსა და სერვისებზე ან შეზღუდოს თქვენი წვდომა, ნაწილობრივ ან მთლიანად, საიტსა და სერვისებზე შეტყობინებისა და პასუხისმგებლობის გარეშე.

10.4. ამ წესებში მოცემული შინაარსი არ შეიძლება გაგებული იქნას, როგორც მომხმარებელსა და AETIS-ს შორის სააგენტოს ურთიერთობების, პარტნიორული ურთიერთობების, ერთობლივი საქმიანობის ურთიერთობების, პირადი სამუშაო ურთიერთობების, დამოუკიდებელი პერსონალური სერვისების ან სხვა ურთიერთობების დამყარება, რომლებიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ამ წესებით და სხვა სამართლებრივი დოკუმენტებით (მაგ. სატარიფო გეგმები, შიდა პოლიტიკა და ა.შ.).